ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 125

"28" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 17 აპრილის N5/21712 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქ. თბილისში, ბოჭორმის ქუჩა N23-ში მდებარე N01.17.13.045.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4141 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შემდგომში სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასათვის" სიმბოლურ ფასად, პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაცემის მიზნით, იმ პირობით, რომ კომპანია ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე N01.13.03.038.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 13039 კვ.მ. მიწის ნაკვეთს მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში, უფლებარივად უნაკლო მდგომარეობაში.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი